შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებების ფარგლებში გადაწყვეტილებები და კარგი პრაქტიკები კანონების შშმ პირთა უფლებების შესახებ კონვენციის დადგენილებებთან შეთავსების სფეროში

რეკომენდაციები საქართველოსთვის განვითარებაში პოლონური დახმარების პროექტის ფარგლებში

დამუშავეულია:
მოსამართლე დოქტორ პაველ იაროს

2014

ანგარიშგება შექმნილია პროექტის „შშმ პირთა მხარდაჭერის სისტემის იურიდიული, ფინანსური და ადმინისტრაციული საფუძვლები - კარგი პრაქტიკების მაგალითები“ ფარგლებში, რომელიც განხორციელებული იყო შრომისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტროს მიერ 2014 წელს განვითარებაში პოლონური დახმარების სახსრებით.

ავტორი: მოსამართლე დოქტორ პაველ იაროს

იუსტიციის სამინისტრო

პროექტი თანადაფინანსებულია პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს 2014 წელს განვითარებაში პოლონური დახმარების პროგრამის ფარგლებში.

გამოცემა გამოხატავს მხოლოდ ავტორის აზრს და არ უნდა იყოს გაიგივებული პოლონეთის საგარეო საქმეთა სამისტროს ოფიციალურ პოზიციასთან.

რეკომენდაციები დამუშავებული იქნა შედგომის საფუძველზე:

- შშმ პირების უფლებების შესახებ კონვენცია (2006);

- ბავშვის უფლებების შესახებ კონვენცია და ამ კონვენციის დამატებითი პროტოკოლები (1989):

  - ქალების მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია (1979);
  - წამებისა და სხვა მკაცრი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის კონვენცია (1984);
  - განათლებაში დისკრიმინაციის წინააღმდეგ კონვენცია;
  - იძულებითი სამუშაოების აღკვეთის საკითხში შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) კონვენცია, № 29, 1930;
  - შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) კონვენცია № 105 იძულებითი სამუშაოს გაუქმების შესახებ, 1957;
  - შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) დასაქმებისთვის დაშვებული მინიმალური ასაკის შესახებ კონვენცია № 138, 1973;
  - შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) კონვენცია № 182 ბავშვის შრომის ყველაზე უარესი ფორმების აღკვეთის შესახებ, 1999;
  - შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) დედობის დაცვის შესახებ კონვენცია №183, 2000;
  - 1951 წლის ლტოლვილების სტატუსთან დაკავშირებული კონვენცია, 1967 წლის შეცვლილი პროტოკოლით ლტოლვილების სტატუსის შესახებ;
  - ადამიანების ვაჭრობასთან და პროსტიტუციის ექსპლოატაციასთან ბრძოლის შესახებ კონვენცია (1949);
  - მონობის საწინააღმდეგო კონვენცია (1953);
  - მონობის საკითხში კონვენციის შემცვლელი პროტოკოლი (1953);
  - მონობის აღკვეთის, მონებით ვაჭრობის და მონობის მაგვარი პრაქტიკების და დაწესებულებების საკითხში შემავსებელი კონვენცია (1956);
  - ადამიანებით ვაჭრობის აღმოფხვრის, ბრძოლის და დასჯის შესახებ პროტოკოლი, განსაკუთრებით ქალებით და ბავშვებით, რომელიც შეავსებს 2000

წლის გაერთიანებული ერების კონვენციას საერთაშორისო ორგანიზირებული დამნაშავეობის წინააღმდეგ;

- გენევის კონვენცია ომის დროს მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვის შესახებ;
- 12 აგვისტოს 1949 წ. გენევის კონვენციის დამატებითი პროტოკოლი საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლების დაცვის შესახებ (პროტოკოლი I);
- 12 აგვისტოს 1949 წ. გენევის კონვენციის დამატებითი პროტოკოლი არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლების დაცვის შესახებ (პროტოკოლი II);
- ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების ხმარების, შენახვის, წარმოების და გადაცემის აკრძალვის და მათი განადგურების საკითხში კონვენცია;
- საერთაშორისო სისხლის-სამართლის ტრიბუნალის წესდება;
- ჰააგის კონვენცია ბავშვთა დაცვისა და ბავშვთა საერთაშორისო გაშვილების სფეროში თანამშრომლობის შესახებ;
- ჰააგის კონვენცია ბავშვთა საერთაშორისო მოტაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ;
- 1996 წლის ჰააგის კონვენცია სათანადო უფლებების, აღიარების, შესრულების და თანამშრომლობის შესახებ მშობლების პასუხისმგებლობის და ბავშვების დაცვის საშუალებების ფარგლებში.

გარდა ამისა გამოყენებული იყო:

1. 20 მაისის 2013 წ. საქართველოში შშმ პირების მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება - დამუშავებული ტომაშ ტაშიემსკის მიერ.
2. ანგარიშგება შშმ პირების მხარდაჭერის პოლიტიკის თემაზე 2013 - დამუშავებული მაგდალენა ვიტკოვსკას მიერ.
3. საქართველოს შიდაპოლიტიკური და საერთაშორისო სიტუაციის შესახებ ინფორმაცია - მომზადებული მარეკ კარპის სახ. აღმოსავლეთის გამოკვლევის ცენტრის მიერ.
4. საქართველოს ჯანდაცვის და სოციალური საქმეების სამინისტროს მიერ მომზადებული ინფორმაცია.
5. საკუთარი დაკვირვებები და დიალოგი ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, აგრეთვე მომვლელებთან და აღმზდელებთან და ქართველი ბავშვების მშობლებთან, რაც ჩატარებული იყო სამსახურებრივი მივლინების დროს საქარველოში 25 – 31 ოქტომბერს 2014 წ პროგრამის „შშმ პირების მხარდაჭერის სისტემის იურიდიული, ფინანსური და ადმინისტრაციული საფუძვლები“ ფარგლებში.

საერთო შენიშვნები

გაეროს მონაცემების თანახმად შეფასებულია, რომ მსოფლიოში ცხოვრობს 500-650 მილიონი შეზღუდულობის მქონე ადამიანი, რაც შეადგენს მსოფლიო მოსახლეობის 10% - ამაში 150 მილიონი ბავშვია. 80%-ზე მეტი ცხოვრობს განვითარებად ქვეყნებში მომსახურების მცირე ან საერთოდ მისადმი ხელმიწვდომობის გარეშე. შშმ ბავშვების უმეტესობა განვითარებად ქვეყნებში არ დადის სკოლაში და არ იციან წერა-კითხვა. დასკვნილია, რომ შეზღუდულობის მიზეზების უმეტესობის, როგორებიცაა ომი, ავადმყოფობა და სიღატაკე არიდება შესაძლებელია, რაც შემდგომ ხელს უშლის და/ან ამცირებს შეზღუდულობის შემდგომი ეფექტების გამოვლინებას, რაც ხშირად ადრეული/თავის დროზე ჩატარებული ინტერვენიციის უქონლობითაა გამოწვეული. **რაც შეეხება საქართველოს, არ გაგვაჩნია უტყუარი მონაცემები როგორც საერთოდ შშმ პირების რაოდენობის შესახებ და აგრეთვე შშმ ბავშვებთან დაკავშირებულ ვრცელ მონაცემებს.**

ზემოხსენებულ ვიზიტის დროს საქართველოში, შშმ პირთა მდგომარეობის დადგენილი ანალიზიდან დავასკვნით, რომ **საქართველოსთვის რეკომენდაციები უნდა განსაკუთრებულად ითვალისწინებდნენ შშმ ბავშვების სიტუაციას.**
გამოირკვა მრავალფეროვანი პრობლემების არსებობა - საზოგადოებაში ამ ბავშვების გადაწყვეტილების მიღების პროცესში გამორიცხვიდან სერიოზული მარგინალიზაცისა და დისკრიმინაციამდე.
ხშირად აღძრული იყო სიღატაკის თემა, რაც როგორც შეზღუდულობის მიზეზია, აგრეთვე შედეგიცაა.

ამ კონტექსტში უნდა ავღნიშნოთ, რომ შშმ ბავშვებს და მათი ოჯახებს ცხოვრების შესაბამისი სტანდარტის უფლება აქვთ, კვების, ტანსაცმლის, ბინის ჩათვლით და ცხოვრების პირობების მუდმივი გაუმჯობესებისა. **ამის მიხედვით, საქართველოს უნდა წარედგინოს საერთო რეკომენდაცია - სიღატაკეში მცხოვრები შშმ ბავშვების პრობლემით ვრცლად დაკავება შესაბამისი საბიუჯეტო სახრების მინიჭების საშუალებით, და აგრეთვე უზრუნველყოს შშმ ბავშვები სოციალური დახმარებით და სიღატაკის აღმომფხვრელი პროგრამების ხელმისაწვდომობით.**

შესამჩნევი იყო აგრეთვე, რომ საქართველოს შშმ ბავშვებს არიან სერიოზული სირთულეების და ბარიერების ქვეშ, რომლებიც შესაძლებლობას არ აძლევენ სრულად ისარგებლობლონ ზემოხსენებულ კონვენციებში დაცული უფლებებით. ამასთან დაკავშირებით უნდა ავღნიშნოთ, რომ თვით შეზღუდულობა არ არის დაბრკოლება, არამედ ეს არის სოციალური, კულტურული, ფიზიკური ელემენტების კონგლომერატი და იმ დამოკიდებულებისა, რომლებსაც აწყდებიან შშმ ბავშვები ყოველდღიურად. ზემოთ ნახსენების მიხედვით, **შემდეგი საერთო რეკომენდაცია შეეხება მათი უფლებების გავრცელებასთან დაკავშირებული სტარტეგიის მიღებას, რაც დაყრდნობილი იქნება ამასთან დაკავშირებით შესაბამისი ნაბიჯების გადადგმას ამ ბარიერების მოსახსნელად**

ვრცელი რეკომენდაციები

I. არადისკრიმინაციის პრინციპი.

არადისკრიმინაციის პრინციპი ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში ყველა საკვანძო დოკუმენტში ნახსენები მთავარი პრინციპია.

საქართველომ, შშმ ბავშვების დისკრიმინაციის ყველა ფორმების უკუქმედებისა და აღკვეთისკენ მიმართულ თავის მცდელობებში უნდა მიიღოს შემდეგი ზომები:

a) ერთმნიშვნელოვნად მიიღოს შეზღუდულობა როგორც დისკრიმინაციის დაუშვებელი მიზეზი არადისკრიმინაციის შესახებკონსტიტუციურ დადგენილებებში და/ან შეზღუდულობის გამო დისკრმინინაციის განსაკუთრებული აღკვეთები უბრალო კანონმდებლობაში, განსაკუთრებით ანტიდისკრიმინაციულ კანონში და დაბალი რანგის კანონებში.

b) უზრუნველყოს ეფექტური დამცავი ზომებით შშმ ბავშვების უფლებების დარღვევის შემთხვევაში და უზრუნველყოს ასეთი ბავშვებისთვის და მათი მშობლებისთვის და/ან ბავშვების კანონიერი მომვლელებისთვის ამ ზომების ადვილად ხელმისაწვდომობა.

c) საერთო გაგებით, საზოგადოებრივი აზრისთვის და კვალიფიცირებული ადამიანების გარკვეულ ჯგუფებისთვის მიმართული გამაცნობიერებელი და საგანმანათლებლო კამპანიების ჩატარება, შშმ ბავშვების de facto დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად და აღსაკვეთად.

საქართველოს მოსახლეობის ოჯახურ ტრადიციებთან ძლიერი კავშირის დაკვირვებიდან გამომდინარეობს, რომ შშმ გოგნები უფრო მეტად განიცდიან დისკრიმინაციას სქესობრივი დისკრიმანაციის მიზეზით. ამ კონტექსტში უნდა მიექცეს ყუდაღება შშმ პირის გოგონებს აუცილებელი ზომების მიღების მეშვეობით, და თუ საჭირო იქნება დამატებითი ზომებისა, მათი სათანადო დაცვის, ყველა მოსმახურებებისადმი ხელმისაწვდომობის და სოციალურ ცხოვრებაში სრული მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.

II. საზოგადოებრივ ცხოვრებაში შშმ ბავშვის მონაწილეობის პრინციპი და მისი უფლება განსაკუთრებული ზრუნვისა.

ზემოთ ნახსენები პრინციპი (იხ. მაგ. ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენცია, სტატ. 23 პუნქტ. 1) წამყვანი პრინციპია შშმ ბავშვების მიმართ, რომლის მიზანიცაა: სრული და ღირსეული ცხოვრების პირობებით სარგებლობა რაც უზრუნველყოფს ღირსებას, ავრცელებს დამოუკიდებლობას და აადვილებს საზოგადოებაში აქტიურ მონაწილეობას. **საქართველოს მიერ წამოწყებული მოქმედებები შშმ ბავშვების უფლებების განხორციელებასთან დაკავშირებით უნდა მიისწრაფდეს ამ მიზნის შესასრულებლად. აქ საკვანძო აზრია შშმ პირების საზობადოების ცხოვრებაში ჩართვა. საქმე აქ ამ ბავშვების საზოგადოებასთან მაქსიმალური ინტეგრაციაა.**

თუმცა სახელმწიფოს მხრიდან ბავშვისთვის განსაკუთრებული ზრუნვის უფლება გამომდინარეობს ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენციიდან, სტატ 23. **ამ უფლების განხორციელებაში დახმარება უნდა იყოს შეთავსებული ბავშვის კონდიციასთან და მშობლების ან ბავშვის სხვა მომვლელების მდგომარეობასთან.**

ზემოხსენებულ ვალდებულებების სწორედ განხორციელების მიზნით წარვადგენთ შემდეგ რეკომენდაციებს:

a) საქართველომ უნდა დაისახოს შშმ ბავშვებითა განსაკუთრებული ზრუნვა და დახმარება როგორც პრიორეტიტული საკითხი და მაქსიმალურად მიმართოს არსებული რესურსები შშმ ბავშვების დისკრიმინაციის აღმოფხვრისთან და მათი სოციალური ინტეგრაციასთან დაკავშირებულ მოქმედებებს.

b) ზრუნვის და დახმარების მიზანი უნდა იყოს შშმ ბავშვების უზრუნველყოფა განათლებით, სწავლებებით, ჯანდაცვით, რეაბილიტაციით, პროფესიის შესრულებისთვის მომზადებისა და დასვენების შესაძლებლობით.

c) საქართველო უნდა უფრო მეტად სარგებლობდეს ინფორმაციის საერთაშორისო გაცვლით პრევენციის და მკურნალობის საკითხებში, რომელიც როგორც სჩანს მნიშვნელოვნად მცირეა. უნდა დავალდეს ეფექტური, სადაც საჭიროა მიზანმიმართული, ინფორმაციის აქტიურად გავრცელების მოქმედებების წამოწყება, შშმ ბავშვების პრევენციის და მკურნალობის სფეროების გამოსწორების მიზნით.

d) საქართველომ უნდა ჩაატაროს ძალისხმევა სპეციალური პროგრამების შექმნის და დანერგვის მიზნით, რომელთა მიზანი იქნება შშმ ბავშვების ჩართვა საზოგადოებაში და მინიჭებული საბიუჯეტო სახსრების გადაცემა მათ განხორციელებაზე.

III. ლეგისლაცია

უნდა იყოს დავალებული ყველა ქვეყნების კანონების და დაკავშირებული რეგულაციების ყოველმხრივი მიმოხილვის შედგენა ყველა შშმ პირების მიმართ კონვენციის ყველა დადგენილების გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით, მათში შშმ ბავშვთა, რომლებზეც, თუ ეს საფუძვლიანია, უნდა გავამახვილოთ ყურადღება. ქვეყნების კანონმდებლობა და რეგულაციები უნდა მოიცავდნენ შშმ ბავშვებისთვის გარკვეული უფლებების დაცვის და აღსრულების ნათელ და ერთმნიშვნელოვან პირობებს.

IV. ქვეყნების სამოქმედო გეგმები და სტრატეგიები

სამოქმედო გეგმები უნდა იყოს ყოველმხრივი და მოიცავდეს შშმ ბავშვებისთვის გეგმებს და სტრატეგიებს, უნდა მოჰქონდეთ ზომვადი ეფექტები. შშმ პირების უფლებების შესახებ კონვენცია ხაზს უსვამს ამ ასპექტების ჩართვის მნიშვნელობას და დასძენს, რომ მხარე-ქვეყნები კისრულობენ „ადამიანის უფლებების დაცვის და გავრცელების გათვალისწინებას შშმ პირებთა მიმართ ყველა სტრატეგიებში და პროგრამებში. მთავარია, რომ ყველა პროგრამებს ჰქონდეთ სათანადო ფინანსური და სახალხო რესურსები და იყვნენ უზრუნველყოფილი და აღჭურვილი ჩაშენებული მექნიზმებით, მაგალითად, ეფექტების ზუსტი გაზომვის მაჩვენებლები. შემდგომი ფაქტორი, რომელიც არ უნდა დაგვავიწყდეს არის შშმ ბავშვების ჩართვის აუცილებლობა ამ სტრატეგიებში და პროგრამებში.

V. მონაცემები და სტატისტიკა

თავისი ვალდებულებების შესრულების მიზნით, აუცილებელია რომ საქართველომ დაადგინის და განავითაროს მონაცემთა შეგროვების მექნიზმები - ზუსტი, უნიფიცირებული და მათი გადაცემის გამაადვილებელი, რომლებიც ასახავენ შშმ ბავშვების არსებულ სიტუაციას. ამ საკითხის მნიშვნელობა ხშირად გამოტოვებულია და არ არის ჩათვლილი როგორც პრიორიტეტული, იმ ფაქტის მიუხედავად, რომ იგი გავლენას ახდენს არა მარტო საჭირო პრევენციულ მოქმედებებზე, არამედ აგრეთვე ყველა არსებული პროგრამების შექმნისთვის საჭირო რესურსების მიწოდებაზე. ზუსტი სტატისტიკის მოპოვებასთან დაკავშირებული ერთერთი მთავარი გამოწვევაა ფართოდ აღიარებული, ნათელი განსაზღვრების უქონლობა, რომელიც უზრუნველყოფს შშმ ბავშვების ჩართვას ისეთნაირად, რომ მათ შესძლონ ისარგებლონ მათთვის შექმნილი სპეციალური ზრუნვით და პროგრამებით. არსებობს დამატებითი ძალისხმევის საჭიროება, შშმ ბავშვების შესახებ ინფომრაციის მოსაგროვებლად, რადგან იგი ხშირად არის დამალული მათი მშობლების ან სხვა მომვლელების მიერ. აგრეთვე ამის გამო შეუძლებელია დადგინდეს, რომ საქართველოს გააჩნდა უტყუარი მონაცემები მოცემულ სფეროში.

VI. ბიუჯეტი

შშმ პირების უფლებების შესახებ კონვენციისა და შშმ ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენცის საფუძველზე შეუძლებელია გაიცეს სპეციალური რეკომენდაციები ბიუჯეტში შშმ ბავშვების მომსახურებაზე და პროგრამებზე განკუთვნილი სახსრების პროცენტული წილის შესახებ, ხოლო ნათელია, რომ უნდა ჰქონდეთ მათ პრიორიტეტული მნიშვნელობა. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება აღმოჩნდეს საფუძვლიანი საშიშროება, რომ კონვენციის მხარე-ქვეყანა არა მარტო არ გამოყოფს საკმარის სახსრებს, არამედ აგრეთვე შეამცირებს ამ სახსრების რაოდენობას წლების განმავლობაში. ესეთი ტრენდი ხშირადაა დაფიქსირებული და აქვს ბევრი სერიოზული შედეგი, განსაკუთრებით შშმ ბავშვებისთვის, რომლებიც ხშირად იკავებენ დაბალ პოზიციებს ან საერთოდ არ ხვდებიან პრიორიტეტების სიაში. მაგალითად, თუ მხარე-ქვეყანა არ გამოჰყოფს საკამრის სახსრებს შშმ ბავშვების სავალდებულო და უფასო განათლებაზე, მაშინ შშმ ბავშვების მასწავლებლების სწავლებისა ან შშმ ბავშვებისთვის საკმარისი საჭირო სასწავლო მასალებით და ტრანსპორტით უზრუნველყოფის საშუალება არ იქნება. მომსახურების დეცენტრალიზაცია და პრივატიზაცია (სამსახურებრივი მივლინების დროს დაფიქსირებული) არის ამჟამად საქართველოში ეკონომიკური რეფორმის ხერხი. მაგრამ არ უნდა გაგვავიწყდეს, რომ სახელმწიფო არის საბოლოოდ პასუხისმგებელი შშმ ბავშვებზე სათანადო სახსრების მინიჭებაზე და მომსახურების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით მკაცრი დირექტივებზე ზედამხედველობისა. შშმ ბავშვებზე მინიჭებული რესურსები უნდა იყოს საკმარისი მათი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, თან იმის დარწმუნებით, რომ სხვა მიზნებზე არ არის გაცემული, აგრეთვე უნდა დააკმაყოფილოს შშმ ბავშვებთან მომუშავე კვალიფიცირებული პირების (მასწავლებლები, ფიზიოთერაპევტები და ხელმძღვანელები) სწავლების მიზნით შემუშავებული პროგრამები; სასწავლო კამპანიები; ოჯახებისთვის ფინანსური მხარდაჭერა; შემოსავლის

უზრუნველყოფა; სოციალური დაზღვევა; დახმარების ინსტრუმენტები; და დაკავშირებული მომსახურება. ამის გარდა, უნდა უზრუნველყოთ შშმ ბავშვების საყოველთაო განათლებით სარგებლობაში ჩართვისკენ მიზანმიმართულ სხვა პროგრამებზე სახსრები, სხათა შორის, სკოლებში ინფრასტრუქტურის შეთავსების მეშვეობით, რათა იყოს იგი შშმ ბავშვების ხელმისაწვდომი. პროფესიული ძალების უკმარისობის გამო - ზემოთხსენებულ მიზნებზე სახრების რეზერვი რადიკალურად უნდა იყოს გაზრდილი.

VII. მაკოორდინებელი ორგანო

უნდა ჩატრდეს ამ სფეროში კანონების მიმოხილვა. სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შშმ ბავშვებისთვის უზრუნველყოფილი მომსახურება, არ შეიძლება იყოს ნაწილობრივი და არაკოორდინებული, რაგდან შეიძლება გამოიწვიოს მოქმდებების დუბლირება და ხარვეზების წარმოქმნა. ამიტომ მთავარია სათანადო მაკოორდინებელი მექანიზმის შექმნა. ეს უნდა იყოს სექტორებსშორის დონეზე მოქმედი ორგანო და მოიცავდეს სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებს. უნდა იყოს უფლემამოსილი და მხარდაჭერილი რაც შეიძლება უმაღლესი რანგის ხელისუფლების მიერ შესაძლებლად საუკეთესო ფუნქციონირების მისაღწევად. მაკოორდინებელი ორგანოს შშმ ბავშვებისთვის, როგორც შშმ ბავშვების ფართო მაკოორდინებელი სისტემის ან ქვეყნის შშმ პირების მაკოორდინებელი სისტემის შემადგენელი ნაწილს, უნდა ჰქონდეს უკვე არსებულ მოქმედ სისტემასთან მუშაობის შესაძლებლობა, იმ პირობით, რომ მოქმედებს სათანადოდ და შეუძლია გამოჰყოს ფინანსური და სახლახო რესურსები. ესეთი ორგანიზაცია შესძლებს შშმ ბავშვებზე ყურადღებას მიქცევას.

VIII. დამოუკიდებელი მონიტორინგი და სამოქალაქო საზოგადოება

ამ ფარგლებში სჩანს, რომ საქართველო ასრულებს თავის ვალდებულებებს, განსაკუთრებით როდესაც საქმე ეხება მოქალაქეთა უფლებების წარმომადგენლის (სახალხო დამცველის) დაწესებულებას. მიუხედავად ამისა, უნდა წავაქეზოთ არასამთავრობო ორგანიზაციების შემდგომი განვითარება, რომლებიც მოცემულ სფეროში არც ისე იშვიათად მოქმდებენ მთავრობის მხრიდან სათანადო მხარდაჭერის, სახსრების და აღიარების გარეშე. უნდა შეიქმნას მხარდაჭერის და NGO-ებთან (non-governmental organization) თანამშრომლობის გამჭვირვალე წესები, რაც მათ საშუალებას მისცემს მონაწილეობა მიიღონ შშმ ბავშვებისთვის მომსახურების უზრუნველყოფაში და უზრუნველყოფენ კონვენციის დადგენილებების და პრინციპების თანახმად მოქმედებას.

IX. ცოდნის გავრცელება და კვალიფიცირებულ მუშაკების სწავლება

უნდა რეკომენდაცია გავუწიოთ შშმ პირების უფლებების თემაზე ცოდნის გავრცელებას, განსაკუთრებით შშმ ბავშვებისა, მათ შორის ცნობიერების შემქმნელი კამპანიის ჩატარების, სათანადო მასალების პროდუქციის საშუალებით, როგორებიცაა შშმ ბავშვებისთვის ადვილად გასაგები ან Braill-ის ენაზე კონვენციის დაბეჭდილი ვერსიები,

და მასიური მაუწყებლობის გამოყენება, რათა მხარი დაეჭიროს დადებით განწყობას შშმ ბავშვების მიმართ.
თუ საქმე ეხება შშმ ბავშვებისთვის და მათთან მომუშავე კვალიფიცირებული პირებს, სასწავლო პროგრამები უნდა შეიცავდნენ მიზანმიმართულ და შშმ ბავშვების უფლებების ცნობიერებაზე ყურადღების გამახვილებელ პირებს, როგორც კვალიფიკაციის წინაპირობა.

ვრცელი რეკომენდაციები შშმ ბავშვთა უფლებებთან დაკავშირებით - განსაკუთრებით გულისხმიერ სფეროებში

შშმ ბავშვის კარგად გაგებული ინტერესები

„შშმ ბავშვებთან დაკავშირებულ ყველა მოქმდებებში უმნიშვნელოვანესი საკითხი იქნება შშმ ბავშვების კარგად გაგებული ინტერესი". ეს პრინციპი მიმართულია კანონის დამწერ პირებისკენ, რომელთაც ევალებათ ესეთი შშმ ბავშვების უფლებათა დაცვის ჩარჩოების დადგენა, როგორც აგრეთვე ესეთ შშმ ბავშვებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღების პროცესებისა. ეს უნდა იყოს საფუძველი, რომელზეც ეყრდნობა პროგრამები და სტრატეგიები და ყველა მომსახურებები შშმ ბავშვებისთვის.
ეს პრინციპი არის ძალიან მნიშვნელოვანი იმ დაწესებულებებისთვის და სხვა ცენტრებისთვის, რომლებიც უზრუნველყოფენ მომსახურებას შშმ ბავშვებისთვის, რაგდან მათ მოეთხოვებათ სტანდარტებთან და რეგულაციებთან შეწყობა, მათი უმთავრესი მიზანი კი უნდა იყოს უსაფრთხოება, დაცვა და ბავშვებზე ზრუნვა, ამ მიზანმა უნდა გადააჭარბოს ყველა დანარჩენს ყველა გარემომებში, **მაგ. ბიუჯეტის სახსრების მინიჭებისას.**

სიცოცხლის, გადარჩენის და განვითარების უფლება

რეკომენდაცია უნდა გავუწიოთ ყველა აუცილებელი მოქმდების ჩატარებიზე, რომლებიც უზრუნველყოფენ სათანადო სასჯელს იმათთვის, ვინც უშუალო ან ირიბი გზით არღვევენ შშმ ბავშვების სიცოცხლის, გადარჩენის და განვითარების უფლებას.

შშმ ბავშვის აზრის პატივისცემა

უნდა ვიზრუნოთ შშმ ბავშვების მონაწილეობაზე მათთან დაკავშირებულ ყველა საკითხების და მათი მოგვარების პროცედურების მიმართ. ამ პრინციპის გასატარებლად, შშმ ბავშვები უნდა იყვნენ წარმოდგენილი გადაწყვეტილების მიმღებ სხვადსხვა ორგანოებში როგორებიცაა პარლამენტი, კომიტეტები და სხვა თავყრილობები, სადაც შეეძლებათ თავისი აზრის გამოხატვა და იმ გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის მიღების საშუალება, რაც ეხება მათ როგორც შშმ ბავშვებს ფართო გაგებით, განსაკუთრებით როგორც შშმ ბავშვებს. საქართველომ უნდა მოაწყოს სწავლებები ოჯახებისთვის და კვალიფიცირებული პირებისთვის შშმ ბავშვების იმ განვითარებად უნარების გავრცელების და პატივისცემის შესახებ, რომლებიც მათ საკუთარ ცხოვრებაში გადაწყვეტილებების მიღებაზე ზრდად პასუხუსმგებლობას აკისრებს.
ვიზიტის დროს, შესამჩნევი იყო, რომ შშმ ბავშვების სულიერი, ემოციური და კულტურული განვითარება და კეთილდღეობა ხშირად იყო გამოტოვებული. მათი

მონაწილეობა ღონისძიებებში და საქმიანობაში, რაც გამოიწვევს ყოველი შშმ ბავშვის ამ ასპექტებს, არ არსებობს ან მინიმალურია. ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად, ყურადღება უნდა მიექცეს შშმ ბავშვების მონაწილების მისაღებად მოწვევისას, რომ ისინი არ იყვნენ შემოფარგლული მხოლოდ შშმ ბავშვებისთვის შეთავსებული და სპეციალურად მიმართული მოქმედებებით. ესეთი პრაქტიკას მიჰყავს მხოლოდ შშმ ბავშვების შემდგომ მარგინალიზაციამდე და ზრდის მათი უცხოობის შეგრძნებას. შშმ ბავშვების კულტურულ განვითარებაზე და სულიერ კეთილდღეობაზე გამიზნული პროგრამები და მოქმედებები, უნდა იყოს ჩართული და პასუხს აძლევდეს როგორც შშმ ბავშვებს, არამედ შშმ პირებსაც ინტეგრაციული და მონაწილეობითი გზით.

სამოქალაქო უფლებები და თავისუფლება

გვარისა და მოქალაქეობის ქონების, პირადობის შენარჩუნების, სიტყვის, აზრის გამოხატვის, სინდისის და რელიგიის თავისუფლების უფლება, გაწევრიანების და მშვიდობიან თავყრილობებში მონაწილეობის თავისუფლება, პირადობის ქონების უფლება და წამებისგან ან სხვა არაადამიანური ან დამამცირებელ მოპყრობისსგან თავისუფლება ან დასჯის და თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის წინააღმდეგ უფლება არის საყოველთაო სამოქალაქო უფლებები და თავისუფლება, რომლებიც უნდა იყოს დაცული, პატივცემული და გავრცელებული ყველასთან მიმართებით, შშმ ბავშვების ჩათვლით. უნდა მივაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება, რომ ყოველთვის არსებობს საშიშროება ამ სფეროებში დარღვევებისა და მათ დასაცავად საჭიროა სპეციალური პროგრამები.

დაბადების რეგისტრაცია

ყოველთვის საჭიროა დარწმუნება, რომ შშმ ბავშვების დაბადება იყოს დარეგისტრირებული. **ასეთი რეგისტრაციის გარეშე, კანონის მიხედვით არ ჩაითვლებიან და არ იარსებებენ სახელმწიფო სტატისტიკაში.** რეგისტრაციის უქონლობას დიდად უარყოფითი შედეგები აქვს ადამიანის უფლებებით სარგებლობისას, მათში მოქალაქეობის და სოციალური და ჯანდაცვის მომსახურებების და განათლების უქონლობა. დაურეგისტრირებული შშმ ბავშვებისთვის ყველაზე მეტად არსებობს უყურადღებობის, ინსტიტუციონალიზაციის და სიკვდილის საშიშროებაც კი.

შესაბამის ინფორმაციისადმი და მასიური მაუწყებლობის სახსრებისადმი ხელმისაწვდომობა

ინფორმაციისადმი და ურთიერთკომუნიკაციის შესაძლებლობისადმი ხელმისაწვდომობა, მათში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და სისტემებისადმი, შშმ ბავშვებს დამოუკიდებლად ცხოვრების და მის ყველა ასპექტში მონაწილეობის საშუალებას აძლევს. შშმ ბავშვებს და მათი კანონიერ მომვლელებს უნდა ჰქონდეთ მათ შეზღუდულობასთან დაკავშირებულ ინფორმაციისადმი ხელმისაწვდომობა, რათა სათანადოდ შესძლონ შეზღუდულობის თემაზე ცოდნის მიღება, ამაში მისი მიზეზების, სიმპტომების და პროგნოზისა. შშმ ბავშვები უნდა იყვნენ აგრეთვე უზრუველყოფილი

შესაბამისი ტექნოლოგიებით და სხვა მომსახურებით და/ან ენებით მაგალითად Braille-ის და ჟესტების ენაზე, რაც საშუალებას მისცემს მათ ყველა სახის მასიური მაუწყებლობებისადმი ხელმისაწვდომობას, ამაში ტელევიზია, რადიო და დაბეჭდილ პრესა, როგორც აგრეთვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ახალი ტექნოლოგიები და სისტემები, როგორიცაა ინტერნეტი. მეორე მხრივ, ბავშვები, მათში შშმ ბავშვები, უნდა იყვნენ დაცული, მაზიანებელი ინფორმაციისგან, განსაკუთრებით პორნოგრაფიული და ქსენოფობიის ან სხვა სახის დისკრიმინაციის და ცრურწმენის გამავრცელებელი მასალებისგან.

საჯარო სატრანსპორტო საშუალებების და ინფრასტრუქტურის სახსრების ხელმისაწვდომობა

საჯარო ტრანსპორტის და ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის ფიზიკური უქონლობა, ამაში სახელმწიფო შენობების, სავაჭრო ცენტრების, დასასვენებელი ობიექტებისა შშმ ბავშვების მარგინალიზაციაზე და გამორიცხვაზე გავლენის მთავარი მაჩვენებელია და მათ მნიშვნელოვნად ხელს უშლის ჯანდაცვის, საგანმანათლებლოდა სხვა მომსახურებისადმი ხელმისაწვდომობაში. გეოგრაფიული პირობების და რელიეფის გამო, საქართველომ უნდა ჩამოაყალიბოს შესაბამისი სტრატეგიები და პროცედურები, რათა უზრუნველყოს საჯარო ტრანსპორტი, რომელიც უსაფრთხოა, შშმ ბავშვებისთვის ადვილად ხელმისაწვდომია, უფასოა და თუ ეს შესაძლებელია, ითვალისწინებს შშმ ბავშვების მშობლების ან სხვა მომვლელების ფინანსურ რესურსებს.

40. საჯარო სარგებლობის ყველა ახალი შენობა უნდა იყოს დაპროექტებული შშმ პირებისთვის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებულ საერთაშორისო სპეციფიკაციების თანახმად, აგრეთვე არსებული შენობები, სკოლები, ჯანდაცვის ცენტრები, სამთავრობო შენობები, სავაჭრო ცენტრები უნდა იყოს შეთავსებული შშმ პირებისათვის.

ოჯახური გარემო და ალტერნატიული ზრუნვა
ოჯახის მხარდაჭერა და მშობლების პასუხისმგებლობა

უზრუნველყოფილი უნდა იყოს ოჯახის მხარდაჭერა, რომელიც მოიცავს ოჯახის და და-ძმის განათლებას არა მარტო შეზღუდულობის და მისი მიზეზების თემაზე, აგრეთვე შშმ ბავშვების ფიზიკური და ფსიქიკური გარკვეული მოთხოვნების თემაზე; ფსიქოლოგიური მხარდაჭერა ითვალისწინებს სტრესს და სირთულეებს, რომლებიც ეხება შშმ ბავშვების ოჯახებს; საერთო ენის ათვისება, რომელზეც ლაპარაკობს ოჯახი, მაგ. ჟესტების ენაზე; მატერიალური მხარდაჭერა დახმარების ფორმით, როგორც აგრეთვე სამომხმარებლო საქონლით და საჭირო საპარატურით, აგრეთვე ავეჯის და მოძრაობის მოწყობილობებით, რომლებიც შშმ ბავშვებისთვის აუცილებელია ღირსეული, დამოუკიდებული ცხოვრების და ოჯახთან და საზოგადოებასთან სრული ინტერაციისთვის. ამ კონტექსტში მხარდაჭერა უნდა იყოს აგრეთვე გაფართოებული ბავშვებზე, რომლებსაც ჰყავთ შშმ მომვლები. მაგალითად, შშმ მშობელთან ან მომვლელთან მცხოვრები ბავშვმა უნდა მიიღოს მხარდაჭერა, რომელიც სრულიად დაიცავს მის უფლებებს და საშუალებას მისცემს მას თავის მშობლებთან ცხოვრებისა, თუ ეს არის მის საუკეთესო ინტერესში. მხარდაჭერითი

მომსახურებები უნდა მოიცავდეს ოჯახსგარეშე ზრუნვის სხვადასხვა ფორმებს, როგორიცაა მომვლელის დახმარება სახლში და დღის ზრუნვის ცენტრები უშუალოდ საზოგადოების დონეზე. ასეთი მომსახურები საშუალებს აძლევენ მშობლებს დაიწყონ სამსახური, აგრეთვე ამცირებენ სტრესს და ინარჩუნებენ ჯანმრთელ ოჯახურ გარემოს.

ძალადობა, ბოროტად გამოყენება და უყურადღებობა

შშმ ბავშვები ყველაზე მეტად არიან დაუცველები მათი ბოროტად გამოყენების წინაშე, ფიზიკურ, ფსიქიურ თუ სექსუალურ ფონზე ყველგან, სკოლის, ოჯახის, კერძო და სამთავრობო დაწესებულებების ჩათვლით. დამატებით, საჩივრების შეტანის და მონიტორინგის ხელმისაწვდომობის უქონლობას მიჰყავს ისინი სისტემატურ და მუდმივ გამოყენებისკენ. ისინი ხშირად არიან ძალადობის სპეციფიკური ფორმის ქვეშ, როგორიცაა დაშინება, რომლის მთავარი მიზანია ზუსტად შშმ პირები. **პოლონეთის და საერთაშორისო სუბიექტების გამოცდილებებ მიუთითებენ, რომ მათი გასაკუთრებული გამოყენება, შეიძლება იყოს ახსნილი შემდეგი მიზეზებით:**

a) დაქვეითებული სმენა, მოძრაობის ან ჩაცმაში შეზღუდულობა, საპირფარეშოთი დამოუკიდებლად სარგებლობის შეუძლებლობა ზრდის მათი არასასურველი ზრუნვის და გამოყენების საშიშროებას;

b) მშობლებისგან, და-ძმისგან, შორეული ოჯახისგან და მეგობრებისგან ცალკე ცხოვრება ზრდის ბოროტად გამოყენების ალბათობას;

c) თუ გააჩნიათ ინტელექტუალური და ურთიერთკავშირის სფეროშო დარღვევები, შეიძლება დარჩენ ყურადღების გარეშე, იქნენ არასწორედ გაგებული ან არ იყვნენ დამაჯერებლები ბოროტად გამოოყენების ფაქტის განცხადებებისას;

d) ბავშვის მშობლები და სხვა მომვლელები შეიძლება მოხვდნენ ზეწოლის ქვეშ ან განიცადონ სტრესი შშმ ბავშვის მოვლასთან დაკავშირებული სხვადასხვა ფიზიკური, ფინანსური და ემოციური პრობლემების მიზეზებით. გამოკვლევა აჩვენებს, რომ განერვიულებული ადამიანების შემთხვევებში მეტი ალბათობაა თავის მოკვლის მცდელობისა;

e) შშმ ბავშვები ხშირად ითვლებიან როგორც ასექსუალურები და საკუთარი სხეულის უცოდინრები, ამიტომ შეიძლება გახდნენ მოძალადე პირების მიზანი, გასაკუთრებით სექსუალურ ფონზე.

ზემოხსენებულთან დაკავშირებით უნდა ჩატარდეს რეკომენდაციები:

a) შშმ ბავშვების მშობლების ან სხვა მომვლელების სწავლება და განათლება ისე, რომ გააცნობიერონ რისკი და შეატყონ შშმ ბავშვების ნიშნები;

b) იმის უზრუნველყოფა, რომ მშობლები ყურადღებით არიან თავისი შშმ ბავშვებისთვის მეურვის და ცენტრების არჩევისას და ბოროტად გამოყენების ნიშნების აღმოჩენის უნარის გაუმჯობესება;

c) მშობლების, და-ძმის და შშმ ბავშვების სხვა მეურვეებისთვის მხარდაჭერის ჯგუფებში მონაწილეობის მიღების უზრუნველყოფა და წახალისება, ბავშვების მოვლაში და შეზღუდულობასთან დაძლევაში დახმარების გაწევის მიზნით;

d) ბავშვების და მომვლელების უზრუნველყოფა ცოდნით, რომ ბავშვს გააჩნია თავისი უფლება რომ მოექცნენ მას ღირსეულად და პატივისცემით, და უფლება აქვს საჩივრის შეტანისა კონკრეტულ დაწესებულებაში, იმ შემთხვევაში, თუ მისი უფლებები შეილახება;

e) იმის უზრუნველყოფა, რომ სკოლები ყოველგვარად შეეცდებიან, რათა აღმოფხვრან დაშინება სკოლაში და შშმ ბავშვებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ, რაც უზრუნველყოფს მათ მიმართ აუცილებელ ზრუნვას საყოველთაოდ ხელმისაწვდომი განათლების სისტემასთან ინტეგრაციისას.

f) იმის უზრუნველყოფა, რომ შშმ ბავშვების მეურვე დაწესებულებებს გააჩნიათ გაწვრთნილი პერსონალი, მოქმედი სტანდარტების მიხედვით, რაც რეგულარუად შემოწმებული და შეფასებულია და თუ გააჩნია საჩივრების შესატანი ხელმისაწვდომი და გულისხმიერი მექნიზმი;

(g) შშმ ბავშვისთვის საჩივრების შესატანი ხელმისაწვდომი და გულისხმიერი მექნიზმის და პარიჟის პრინციპებზე (იხ. ზემოთ პარაგრაფი 24) დაყრდნობილი მონიტორინგის მოქმედი სისტემის ჩამოყალიბება;

h) ყველა შესაძლებელი ლეგისლაციური ნაბიჯების გადადგმა, რომლებიც საჭიროა დამნაშავეების დასასჯელად და სახლიდან გასარიცხად, ერთდროულად იმის უზრუნველყოფით, რომ ბავშვს არ მოაკლდება ოჯახი და იცხოვრებს უსაფრთხო და ჯანმრთელ გარემოში;

i) ბოროტად გამოყენების და ძალადობის მსხვერპლის მკურნალობით და ხელახლა ინტეგრაციით უზრუნველყოფა, ჯანმრთელობის აღდგენის საერთო პროგრამის განსაკუთრებითი გათვალისწინებით.

ოჯახური ტიპის ალტერნატიული ზრუნვა

საქართველოს კარგად ესმის შორეული ოჯახის როლი, რომელიც ბავშვის მოვლის ბურჯია ბევრ საზოგადოებრივ ჯგუფებში და ითვლება როგორ მოვლის საუკეთესო ალტერნატივა, ამოტომაც ამ მიმართულების მოქმედებებს აღიარებით უნდა მოვეპყროთ და **მხოლოდ უფრო წავახალისოთ, რომ ზრუნვის ეს ფორმა შემდგომშიც იყოს გამყარებული შშმ ბავშვებისა და მისი მშობლების ან მეურვეების მხარდასაჭერად. საქმე ეხება აქ განსაკუთრებით სწავლებას შშმ ბავშვის მოთხოვნილებების და მისი უსაფრთხოების ფარგლებში.**

მაგრამ მაინც უნდა მივისწრაფდეთ ბავშვზე ზრუნვის ინსტიტუციონალიზებულ ფორმების შემცირებამდე, და თანდათან მთლიანად აღმოფხვრამდე, განსაკუთრებით იმათზე, ვინც არ მოითხოვს სპეციალურ მოვლას. ბავშვის დაწესებულებაში მოთავსება უნდა იყოს უკიდურესობა.

მაინც ყოველთვის უნდა შესრულდეს ბავშვზე ზრუნვის პერიოდული შემოწმება კომპეტენტური ხელისუფლების შერჩეულ ადგილას, მისი სახეობის მიუხედავად, და შემოწმდეს ამ ადგილთან დაკავშირებული ყველა პირობები ბავშვის მდგომარეობის მონიტორინგის მიზნით.

ჯანდაცვა

ჯანდაცვის უფლება

ჯანმრთელობის შესაძლებლად უმაღლესი სტანდარტების შენარჩუნება, როგორც კარგი ხარისხის სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა არის ყოველი ბავშვის თანდაყოლილი უფლება. აქედან გამომდინარე, რეკომენდაციას ვუწევთ, რომ ჯანდაცვის მომსახურება, მასში რეაბილიტაცია, იყოს უზრუნველყოფილი საჯარო ჯანდაცვის იმავე სისტემის ფარგლებში, რომელიც მიმართულია ჯანმრთელ ადამიანებზე, შესაძლებლობისამებრ უფასოდ და ისევე თანამედროვე.
უნდა შეიქმნას და გავრცელებული იყოს სათანადო პროგრამები შეზღუდულობის თავიდან აცილებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით შემთხვევებში: ინფექციური დაავადებები, ცუდი კვება, განსაკუთრებით ვიტამინი A-ს უკმარისობა, პრენეტალური და მშობიარობის დროს პოსტნატალური ზრუნვის უკმარისობა, სახლში, სასოფლო მეურნეობაში, გზაზე ინციდენტები, ალკოჰოლური სასმელემის მიღება, ნარკოტიკებით სარგებლობა, რისკიანი სქესობრივი კავშირები, აფეთქებად მასალებთან და ცივ ან სასროლო იარაღთან კავშირი. არ უნდა დაგვავიწყდეს ადრეული დიაგნოზის და რეაბილიტაციის მნიშვნელოვანი როლი.

მულტიდისციპლინარული მოვლა

იმასთან დაკავშირებით, რომ ბავშვებს ხშირად აქვთ ჯანმრთელობის მრავალი პრობლემა, რომლებითაც სპეციალისტების ჯგუფი უნდა დაკავდეს, ოტიმალური სიტუაციაა ამ სპეციალისტების მიერ ბავშვის მკურნალობის გეგმის ერთობლივად შემუშავება, რაც უზრუნველყოფს ყველაზე ეფექტურ ჯანდაცვას.

განათლება და თავისუფალი დრო

განათლება კარგ დონეზე

შშმ ბავშვებს აქვთ განათლების იგივე უფლება რაც სხვა ბავშვებს და უნდა ამით ისარგებლონ ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე და თანაბარი უფლებების პრინციპის თანახმად. ამ მიზნით უზრუნველყოფილი უნდა იყოს შშმ ბავშვებისთვის განათლების ეფექტური ხელმისაწვდომობა „შშმ ბავშვის პირადობის, ნიჭის და ფსიქიური და ფიზიკური შესაძლებლობების განვითარების“ მხარდაჭერის მიზნით, მისი პოტენციალის სრულიად გამოსაყენებლად. კონვენცია თვლის საჭიროდ სკოლის პრაქტიკების და მასწავლებლების სწავლების პროგრამის შეცვლას, რათა მოამზადოს ისინი სხვადასხვა შეზღუდულობოს მქონე ბავშვების სწავლებისთვის და უზრუნველყონ განათლების დადებითი შედეგების მიღწევა.
შშმ ბავშვები განსხვავდებიან ერთანეთისგან, ამიტომ მშობლები, მასწავლებლები და სხვა სპეცილისტები უნდა დაეხმარონ ყოველ ბავშვს ცალკცალკე ურთიერთობის საკუთარი ხერხის და უნარის, ენის, ინტერაქციის, ორიენტირების და პრობლემების გადალახვის, განითარებაში, რომლებიც საუკეთესოდ შეეფარდება ბავშვის პოტენციალს. უნდა ზუსტად ვუთვალთვალოთ ბავშვის წინსვლას და მოთმინებით მოვუსმინით მის სიტყვიერ და

არასიტყვიერ გამოხატვას, განათლების და განვითარების კარგი და მიზანმიმართული გზებით მხარდასაჭერად.

თვითშეფასების შეგრძნება და დამოუკიდებლობა

მთავარია, რომ შშმ ბავშვის განათლება მოიცავდეს დადებითი თვითცნობიერების გამყარებას და უზრუნველყოს ბავშვს სხვების მიერ პატივისცემის შეგრძნება, როგორც არსება ადამიანური ღირსების შეზღუდულობის გარეშე. შშმ ბავშვმა უნდა იცოდეს, რომ სხვები პატივს სცემენ და აღიარებენ მის ადამიანის და თავისუფლების უფლებებს. შშმ ბავშვის სასკოლო კლასებში ჩართვამ, შეიძლება გვიჩვენოს, რომ შშმ ბავშვმა აღიარა თავისი პიროვნება და ეკუთვნის მოსწავლეების, თანატოლების და მოქალაქეების საზოგადოებას. შშმ ბავშვების საკუთარი ფასეულობის შეგრძბნების გამაძლიერებელია თანატოლების მხარდაჭერა და ეს უნდა იყოს უფრო მეტად აღიარებული და გავრცელებული. განათლებამ აგრეთვე უნდა უზრუნველყოს ბავშვი გადაიტანოს კონტროლის, მიღწევები და წარმატებები ბავშვებისთვის მაქსიმალურად შესაძლებელ ფარგლებში.

კარიერის და პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარება უნდა შედიოდეს სასკოლო პროგრამაში. კარიერის და პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარების ცნობიერება უნდა იყოს ჩართული სავალდებულო განათლების მთელ პერიოდში. ქვეყნებში, სადაც სავადებულო განათლება არ გასცილდება საშუალო სკოლას, პროფესიული განათლება სკოლის დამთავრებისას უნდა იყოს შშმ პირებისთვის სავალდებულო. სახელმწიფოებმა უნდა შეამუშავონ სტრატეგია და გამოჰყონ საკმარისი თანხები პროფესიულ სწავლებაზე.

შშმ ბავშვები უნდა უყვნენ უზრუნველყოფილი თანაბარი შანსებით სხვადასხვა კულტურულ და არტისტულ კურსებში, აგრეთვე სპორტულ (მაგ. ოლიმპიადების, შეჯიბრებების, შშმ ბავშვებისთვის შესაძლებელი თამაშების მოწყობა) ღონისძიებებში მონაწილეობით. ეს ღონისძიებები უნდა გამოჩნდნენ როგორც დამაკმაყოფილებელი და კარგი ცხოვრების გამოხატვის და განხორციელების საშუალება.

მართლმსაჯულების სისტემა არასრულწლოვნებისთვის

რეკომენდირებულია, იმ შშმ ბავშვების (ეჭვმიტანილი) მოპყრობის შემდეგ ელემენტებზე ყურადღების გამახვილება, რომლებიც მოხვდნენ კანონთან კონფლიქტში:

a) შშმ ბავშვი, რომელიც დაუპირისპირდა კანონს, უნდა იყოს დაკითხული შესაბამისი ენების გამოყენებით ან სხვა ხერხებით კვალიფიცირებული პირების დახმარებით, რომლებიც არიან პოლიციელები, წარმომადგენლები, ადვოკატები, სოციალური მუშაკები, მჯავრისმდებლებ და მოსამართლეები, რომლებმაც გაიარეს სწავლება ამ ფარგლებში;

b) სახელმწიფომ უნდა შექმნას და დანერგოს ალტერნატიული მეთოდები მრავალფეროვანად და ელასტიურად, რაც მოქმედებების შშმ ბავშვების ინდივიდუალურ უნარებთან და შესაძლებლობებთან შეთავსების საშუალებას მისცემს, სასამართლო პროცედურების თავის ასარიდებლად. თუ შესაძლებელია, არ უნდა იყოს გამოყენებული

ფორმალური/იურიდიული პროცედურა კანონთან კონფლიქტში მყოფ შშმ ბავშვების მიმართ. ესეთო პროცედურები უნდა განიხილოს მხოლოდ საზოგადოების კეთილდღეობის შემთხვევაში. ესეთ შემთხვევებში უნდა ყველანაირად ვეცადოთ, რომ შევატყობინით შშმ ბავშვები არასრულწლოვნებისთვის მართლმსაჯულების სისტემის პროცედურების და მათი უფლებების შესახებ;

c) კანონთან კონფლიქტში მყოფი შშმ ბავშვები არ უნდა იყვნენ მოთავსებული არასრულწლოვანი დამნაშავეების სასჯელის მოხდის ჩვეულებრივ დაწესებულებაში არც დაკავების შემთხვევაში, არც სასჯელის მოხდისას. თავისუფლების აღკვეთა უნდა მოხდეს მაშინ, თუ ეს აუცილებელია და ამავე დროს ბავშვი უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი დახმარებით დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრაში, შშმ ბავშვი კი უნდა მოთავსდეს დაწესებულებაში, სადაც არის სპეციალურად გაწვრთნილი პერსონალი და სათანადო მოპყრობისთვის სხვა პირობები. ასეთი გადაწყვეტილების მიღებისას, კომპეტენტურმა ხელისუფლება უნდა დარწმუნდეს, რომ ადამიანის უფლებები და სამართლებრივი დაცვა არის სრულიად შესრულებული.

ეკონომიკური ექსპლოატაცია

75. შშმ ბავშვების შემთხვევაში არსებობს საშიშროება სხვადასხვა ეკონომიკური ექსპლოატაციის ფორმების არსებობისა, ბავშვების შრომის უარესი ფორმების და აგრეთვე ნარკოტიკებით ვაჭრობის და მათხოვრობის ჩათვლით. ამ კონტექსტში, რეკომენდირებული უნდა იყოს საქართველოსთვის, თუ ეს უკვე არ იქნა შესრულებული, საერთაშორისო შრომის ორგანიზაციის (ILO) კონვენციის № 138 სამსახურში მინიმალური ასაკის შესახებ და ILO-ს კონვენციის № 182, შშმ ბავშვების შრომის უარესი ფორმების აღკვეთის შესახებ რატიფიცირება და ბავშვების შრომის უარესი ფორმების აღკვეთისკენ მიმართული დაუყოვნებლივი მოქმედებების ჩატარებას.

ქუჩის ბავშვები

შშმ ბავშვები, განსაკუთრებით ფიზიკურად, ბევრი მიზეზების გამო, ეკონომიკური და სოციალურის ჩათვლით, ხვდებიან ქუჩაში. განსაკუთრებულ აღშფოთებას იწვევს ბავშვების გამოყენება სამათხოვროდ და სხვა (ზოგჯერ ბავშვები არიან დასახიჩრებული, რათა შესძლონ მათხოვრობა). **რეკომენირებულია დამნაშავეების აშკარა სახით დასჯა ესეთი ექსპლოატაციის გამო.**

ექსპლოატაცია სექსუალურ ფონზე

საქართველოსთვის რეკომენდირებულია ყურადღების მიქცევა პროსტიტუციის და საბავშვო პორნოგრაფიის მსხვეპლი ბავშვების ზრდად რაოდენობაზე. შშმ ბავშვები არიან ყველაზე მეტად დაუცველები ამ სერიოზული დანაშაულებების წინაშე.

ბავშვები შეიარაღებულ კონფლიქტებში

შეიარაღებულიკონფლიქტები შეზღუდულობის მთავარი მიზეზია - შშმ ბავშვები ნამდვილად იღებენ მონაწილეობას კონფლიქტებში ან არიან ბრძოლის მსხვერპლები.

უნდა მივაქციოთ ყურადღება იმ ბავშვების ჯანმრთელობის აღდგენას და რე-ინტეგრაციას, რომლებიც კარგავენ ჯანმრთელობას შეიარარებული კონფლიქტების შედეგად. **საქართველომ უნდა მიიღოს ყოველგვარი ზომები (მათში ლეგისლაციური) რომ გამოკვეთილად გამორიცხოს შშმ ბავშვების რეკრუტირება შეიარაღებულ ძალებში და სხვა ნაბიჯები ამ აკრძალვის ძალაში მოსაყვანად.**

ლტოლვილები და ემიგრანტები ქვეყნიდან, ბავშვები უმცირესობებში და ბავშვები სხვა კულტურული წრეებიდან

საქართველომ, როგორც მრავალეროვანი და მრავალეთნიკური ქვეყანამ, თავის პროგრამებში უნდა გაითვალისწინოს ეროვნული უმცირესობებში და სხვა კულტურულ წრეებში შშმ ბავშვების დიდი მგრძნობიარობა და მოთხოვნილებები, რომლებსაც ყველაზე მეტად ემუქრება მარგინალიზაცია თავის საზოგადოებებში. პროგრამები და სტრატეგიები უნდა ითვალისწინებდნენ კულტურულ და ეთნიკურ საკითხებს.